შპს „ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუუნის“ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მექანიზმები

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია შპს „ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუუნის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, დაინტერესებული პირების ჩართულობით და განკუთვნილია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებში ჩართული პირთათვის

დამტკიცებულია ახალი რედაქციით
რექტორის ბრძანებით N 13-ა
თარიღი: 02.06.2025 წელი

1. ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის (შემდგომში „სასწავლებლის“) ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ემსახურება სასწავლებლის მისიის განხორციელებას და წარმოადგენს მისი სტრატეგიული მენეჯმენტის ნაწილს. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ემსახურება სასწავლებლის სტრატეგიული მიზნების მიღწევას. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და მექანიზმების განხორციელებაში ჩართული არიან შიდა და გარე დაინტერესებული მხარეები.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თანამშრომელთა და დაინტერსებული პირების ჩართულობით შეიმუშავებს და ავითარებს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკასა და მექანიზმებს და პერიოდულად განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობას. სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და მექანიზმები საჯაროდ ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის.

სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ითვალისწინებს გარე მარეგულირებელი ჩარჩოს მოთხოვნებს, ასევე სასწავლებლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებს და დაინტერესებული მხარეების ინტერესებს.



ხარისხის უზრუნველყოფის
პოლიტიკა

სასწავლებელი, თავისი მიზნების მისაღწევად, შეიმუშავებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებსა და პროცედურებს, რომელსაც გამოიყენებს მისი საქმიანობის, რესურსების, შეთავაზებული სერვისების პერიოდული და სისტემური შეფასებისა და მუდმივი განვითარებისთვის.

სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება ციკლურ პროცესს (დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება).



ახალი უმაღლესი სასწავლებელი - ნიუუნის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ძირითადი მიზნებია:

- სასწავლებლის საქმიანობის ყველა ასპექტის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა;
- სასწავლებლის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა;
- სასწავლებლის ადგილობრივი და საერთაშორისო ცნობადობისა და აღიარების ხელშეწყობა;
- სასწავლებლის ყველა რგოლის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლობის ზრდა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში შიდა და გარე დაინტერესებული პირების ჩართულობის უზრუნველყოფა.

სასწავლებლის **ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა** ეფუძნება ისეთ პრინციპებს, როგორიცაა:

- უწყვეტი განვითარება;
- გამჭვირვალობა;
- ანგარიშვალდებულება;
- თანამშრომლობა.

სასწავლებელში არსებული **ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები** უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას და მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს, პერსონალის (აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე) საქმიანობის შეფასებას, სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმებს.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მეშვეობით შეფასების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით მიიღება გადაწყვეტილებები სასწავლებლის საქმიანობის შემდგომი სრულყოფისათვის.

2. საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლება-სწავლის ხარისხის უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა დაფუძნებულია უწყვეტ განვითარებაზე და მოიცავს: **საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვას, შემუშავებას, განხორციელებას, შეფასებასა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით მის შემდგომ განვითარებას.**



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისთვის გამოიყენება როგორც შიდა, ასევე გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს შეიმუშავებს და ახორციელებს სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზანია, დადგინდეს პროგრამის შესაბამისობა დადგენილ მიზნებთან, სტუდენტებისა და საზოგადოების მოთხოვნებთან და საჭიროებებთან.

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა იწყება პროგრამის შემუშავების ფაზაზე. ამისთვის სასწავლებელს შემუშავებული აქვს ***უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და დამტკიცების პროცედურა*** (დანართი 1), რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკისა და მექანიზმების ნაწილია და შესასრულებლად სავალდებულოა ამ პროცედურებში მონაწილე ყველა პირისთვის.

საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, ისევე, როგორც მის განვითარებაში მონაწილეობას ღებულობს სასწავლებლის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, დამსაქმებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსის ტექნიკურ ექსპერტიზას და მათი შესაბამისობის დადგენას სასწავლებელში მოქმედ მოთხოვნებთან თუ აკრედიტაციის სტანდარტებთან ახდენს ***საგანმანათლებლო პროგრამის*** (დანართი 2) და ***სასწავლო კურსის სილაბუსის*** (დანართი 3) შეფასების ფორმების მეშვეობით.

სასწავლებელში მოქმედი პროგრამების განხორციელების მუდმივი შეფასებისა და განვითარების მექანიზმები მოიცავს:

- **სტუდენტების კმაყოფილების კვლევა საგანმანათლებლო პროგრამებითა და უსდ-ს სერვისებით** (დანართი 4);
- **სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება** (დანართი 5);
- **ლექცია/ჯგუფში მუშაობაზე დასწრება** (დანართი 6);
- **სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი;**
- **სტუდენტთა პროგრესიის ანალიზი;**
- **კურსდამთავრებულთა გამოკითხვა** (დანართი 7);
- **დამსაქმებლების მოთხოვნათა და შრომის ბაზრის კვლევა** (დანართი 8);
- **საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასება** (დანართი 9);
- **პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი.**

- **სტუდენტთა გამოკითხვა** მოიცავს სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასებას და სტუდენტების კმაყოფილების კვლევას საგანმანათლებლო პროგრამებითა და უსდ-ს სერვისებით. სტუდენტთა ანკეტურ გამოკითხვასთან ერთად, პერიოდულად ტარდება სტუდენტთა ფოკუს-ჯგუფები, ან/და ინტერვიუები, საკვლევი მიზნებიდან გამომდინარე.

- ***ლექცია/ჯგუფში მუშაობაზე დასწრება*** წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგისა და სწავლება-სწავლის პროცესის ხარისხის შეფასებისა და უწყვეტი განვითარების ერთ-ერთ მექანიზმს. სასწავლებელში შემუშავებულია ლექცია/ჯგუფში მუშაობაზე დასწრების ფორმა და შესაბამისი რეგულაცია. ლექცია/ჯგუფში მუშაობაზე დასწრების პროცესს წარმართავს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და შესაბამისი პროგრამული მიმართულების ერთ-ერთ განმახორციელებელთან ერთად. პროცედურის მიზანია სწავლა/სწავლების პროცესის არსებული მდგომარეობის შეფასება, სილაბუსით გათვალისწინებული ყოველკვირეული მუშაობის განრიგის, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების რეალურ პროცესთან შესაბამისობის მონიტორინგი, ამასთან, შედეგების ანალიზის საფუძველზე საჭიროებების დადგენა და შესაბამისი სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვა (მაგ. ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, წახალისება სხვ.). პროცესში კოლეგის ჩართულობა უზრუნველყოფს კოლეგებს შორის კარგი პრაქტიკის გაზიარებას.

  ლექცია/ჯგუფში მუშაობაზე დასწრების შედეგი ეცნობება სასწავლო კურსის განმახორციელებელ პირს, საჭიროებისას, პროგრამის ხელმძღვანელთან თანამშრომლობით, დგინდება იდენტიფიცირებული პრობლემის მიზეზები და და მათი გადაჭრის გზები.

- ***სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი*** - სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება/ანალიზის მიზნით, ყოველსემესტრულად, პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსისათვის გამოიყენება ისეთი ინსტრუმენტი, როგორიცაა ე.წ. უწყვეტი ტიპის ნორმალური განაწილება /გაუსის განაწილება, რომლის მიხედვითაც შემთხვევითი სიდიდე

კონცენტრირებულია ერთი მნიშვნელობის ირგვლივ. სტანდარტული განაწილების დიაპაზონებია:

- 10-10 % ნაწილდება A -ფრიადსა (91-100) და E-საკმარის შეფასებაზე (51-60);
- 25-25 % ნაწილდება B -ძალიან კარგს (81-90) D-დამაკმაყოფილებელ შეფასებაზე (61-70);
- 30 % ეთმობა C-კარგ შეფასებას -71-80.

ეს სქემა აღნიშნავს, რომ ყველაზე მაღალქულიანი A (ფრიადი) შეფასების და ყველაზე დაბალი E (საკმარისი) შეფასების მქონე სტუდენტების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სტუდენტთა საერთო რაოდენობის 10 %-ს. ყველაზე მეტ რაოდენობას უნდა შეადგენდეს საშუალო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები და შეფასების მაჩვენებლები უნდა იყოს საშუალოდ 30 %.

გადახრის დიაპაზონი განსაზღვრულია 20 %-ით. 20%-ზე მაღალი გადახრის შემთხვევაში, შესაძლებელია გაიცეს რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის, თუმცა გადახრის დიაპაზონის საყურადღებო მაჩვენებლის შემთხვევაში, პირველ წელს, შესაძლებელია, არ დაიგეგმოს ინტერვენცია და განხორციელდეს დაკვირვება დინამიკაში. გადაწყვეტილება მიიღება ინდივიდუალურად, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით.

გაუსის განაწილების შედეგები ეცნობება სასწავლო კურსის განმახორციელებელს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგად, საჭროებისას, პროგრამის ხელმძღვანელთან თანამშრომლობით, დგინდება იდენტიფიცირებული პრობლემის მიზეზები და პროგრამის განვითარებაზე მომუშავე მუდმივმოქმედ ჯგუფთან შეთანხმებით, შეიძლება გაიცეს შემდეგი რეკომენდაციები:

- სწავლება-სწავლის მეთოდების გადახედვა/ცვლილება;
- შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გადახედვა/ცვლილება;
- სასწავლო კურსის შინაარსის გადახედვა/ცვლილება;
- სასწავლო რესურსების გადახედვა/ცვლილება;
- ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობის გადახედვა;
- საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გადანაწილება/კრედიტის ცვლილება;

- ✓ სხვა გარემოებები.

➔ **სტუდენტთა პროგრესის ანალიზი -** სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაზე მომუშავე მუდმივმოქმედი ჯგუფი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სემესტრულად წარუდგენს ანგარიშს, რომელშიც ასახავს სემესტრულად სტუდენტთა პროგრესიის მაჩვენებელს. ანგარიშში აისახება - სტუდენტთა საერთო რაოდენობა; მომდევნო სემესტრში გადასულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა რაოდენობა და პროცენტული მაჩვენებელი; ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მოსარგებლე სტუდენტთა რაოდენობა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მოსარგებლე სტუდენტთა პროგრესის მაჩვენებელი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეისწავლის წარმოდგენილ ანგარიშს, სასწავლო პროცესის ხარისხთან და სტუდენტთა პროგრესიასთან დაკავშირებული რისკების იდნეტიფიცირების მიზნით და საჭიროების შემთხვევაში, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სხვა მექანიზმებისა და ინსტრუმენტების შედეგების სინთეზით, ახდენს რისკების იდენტიფიცირებასა და რეკომენდაციების შემუშავებას, პროგრამის განვითარების მუდმივმოქმედ ჯგუფთან ერთად.

➔ **კურსდამთავრებულთა გამოკითხვით** დგინდება მათი კმაყოფილება პროგრამასთან მიმართებაში, ფასდება მათი ცოდნისა და უნარების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, ასევე გროვდება ***ინფორმაცია კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ***, რომელიც თავის მხრივ მოიცავს მონაცემებს კურსდამთავრებულ(ებ)ის მიერ უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების თაობაზე. პერსონიფიცირებული ინფორმაცია კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ გროვდება კარიერულ განვითარებაზე პასუხისმგებელი ერთეულის მიერ. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ან/და თვითშეფასება სპეციალურად შემუშავებული ფორმით ასევე გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა (მ.შ .სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასების) და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიზნით.

- ***დამსაქმებლების მოთხოვნათა და შრომის ბაზრის კვლევა*** **-** გამოკითხვის მიზანია, დარგის საჭიროებებისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების - კურსდამთავრებულთა ცოდნისა და უნარების იდენტიფიცირება, მათი მოლოდინების დადგენა ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულების მიმართ, ან/და დამსაქმებლის მიერ მათთან უკვე დასაქმებული ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების/კურსდამთავრებულების შეფასება. კვლევის ფარგლებში ხდება არსებული და პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვა, რათა დადგინდეს შრომის ბაზრის ტენდენციები, ის ცოდნა და უნარები, რომელთა მიმართ გააჩნია მოლოდინი დამსაქმებელს, აგრეთვე, მოთხოვნა ცალკეული სფეროს სპეციალისტების მიმართ. ანალიზის შედეგები გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა (მ.შ .სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასების) და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიზნით. ანალიზის შედეგად, შესაბამისი ცოდნა და უნარები აისახება სწავლის შედეგებში. ყოველი ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას ასევე წინ უძღვის შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევა.

  აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება შეიძლება როგორც დამსაქმებელთა გამოკითხვით, ისე ფოკუს-ჯგუფების ჩატარებით, არსებული მონაცემების გამოყენებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ა.შ.

- ***საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასება*** **-** ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, შემუშავებული თვითშეფასების ფორმის მიხედვით ყოველწლიურად ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას, რომელიც მოიცავს პროგრამის რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზს, როგორიცაა, მ.შ. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ცვლილებების შესახებ, და სხვ. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზის საფუზველზე მისი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრას და ა.შ. პროგრამის ყოველწლიური თვითშეფასება მოიცავს პროგრამის შეფასებისთვის საჭირო რაოდენობრივ მონაცემებს და საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ ცვლილებებს. პროგრამის თვითშეფასება წარედგინება პროგრამის განვითარების ჯგუფს.

- **პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი** – პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება სასწავლებელში მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად, ინდივიდუალურად თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებული შეფასების გეგმის მიხედვით დადგენილი პერიოდულობით, დადგენილ ვადებსა და განსაზღვრული შეფასების მეთოდებით. შეფასების შედეგების ანალიზი წარედგინება ფაკულტეტის საბჭოსა და პროგრამის განვითარების ჯგუფს.

3. პერსონალის საქმიანობის შეფასება

პერსონალის საქმიანობის შეფასება ფარავს სასწავლებლის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას მათი საქმიანობის სპეციფიკის მიხედვით. აკდემიური პერსონალის საქმიანობის შეფასება მოიცავს, მათ შორის, კვლევითი საქმიანობის შეფასებას. შეფასების შედეგები ემსახურება პერსონალის საქმიანობის ხარისხის, შესაბამისად, სწავლა-სწავლების, კვლევის, სერვისებისა თუ ადმინისტრაციული პროცესების ხარისხის განვითარებას.

- **აკადემიური და მოწვეული პერსონალის** საქმიანობის შეფასებისა და ხარისხის უზრუნველყოფისთვის გამოიყენება *აკადემიური/მოწვეული პერსონალის თვითშეფასების ფორმა (დანართი 10)*. პერსონალის საქმიანობის შეფასება ხორციელდება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ,ხოლო შედეგების განხილვაში მონაწილეობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.. თვითშეფასების გარდა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებაში გამოიყენება:
    - სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
    - სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები;
    - ლექცია/ჯგუფში მუშაობაზე დასწრება.

  აგრეთვე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრული შეფასებები:

- აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება დეკანის მიერ;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება პროგრამის ხელმძღვანელის მიერ;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ.

➔ **აკადემიური/მოწვეული პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასებისთვის** ასევე გამოიყენება პერსონალის თვითშეფასების ფორმა, რომელიც მოიცავს შემდეგ ინდიკატორებს:

- პუბლიკაციათა საერთო რაოდენობა (მათ შორის, მონოგრაფია, სახელმძღვანელო, სტატია და სხვ.); მათ შორის:
  - პუბლიკაციათა რაოდენობა საერთაშორისო ჟურნალში;
  - პუბლიკაციათა რაოდენობა იმპაქტ-ფაქტორის მქონე საერთაშორისო ჟურნალში;
  - პუბლიკაციათა რაოდენობა რეფერირებად ჟურნალში;
  - პუბლიკაციათა რაოდენობა საერთაშორისო თანამშრომლობით;
- მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში, სემინარებში, ვორქშოპებში; მოპოვებული გრანტები (შიდა/ადგილობრივი/საერთაშორისო).
- სხვა აქტივობები.

კვლევითი საქმიანობის შეფასებას ახორციელებს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან კოორდინირებით, შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, განისაზღვრება რეკომენდაციები. კვლევითი საქმიანობის შეფასება რეგულირდება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკითა და სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, შეფასებისა და დაფინანსების წესით.

➔ **კვლევითი პროდუქტიულობის შეფასება** - აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური კვლევითი საქმიანობის შეფასების გარდა, სასწავლებლის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი აფასებს სასწავლებლის სამეცნიერო-კვლევით აქტივობას მთლიანობაში (რა და შეფასების

შედეგებს წარუდგენს აკადემიურ საბჭოს. შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, იგეგმება კვლევითი პროდუქტიულობის გაუმჯობესების გზები.

➔ ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების მიზნით გამოიყენება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრული ინსტრუმენტები:

- ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თვითშეფასება;
- ხელმძღვანელი პირების მიერ დაქვემდებარებული რგოლის შეფასება;
- დაქვემდებარებული რგოლის მიერ ხელმძღვანელი პირების შეფასება;
- სტუდენტთა შეფასება.

4. სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და სერვისების შეფასება

სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა და არსებული სერვისების შეფასებისათვის გამოიყენება ***პერსონალის კმაყოფილების კვლევა უსდ-ს სერვისებით*** (დანართი 11) და ***სტუდენტების კმაყოფილების კვლევა საგანმანათლებლო პროგრამებითა და უსდ-ს სერვისებით*** (დანართი 4), რომელთა მიზანია შეისწავლოს სტუდენტთა, აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის დამოკიდებულება/კმაყოფილება სასწავლებლის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის მიმართ.

ამასთან, სტუდენტთა გადინების/შემოდინების მიზეზების დადგენისა და მათზე რეაგირების მიზნით ყოველსემესტრულად, შემოდგომის და გაზაფხულის მობილობის დასრულების შემდეგ ხორციელდება როგორც **მობილობით გადასული** (დანართი 12), ისე **მობილობით გადმოსული** (დანართი 13) სტუდენტების გამოკითხვა, რომელსაც ნებაყოფლობითი ხასიათი აქვს. კვლევის მიზანია, სტუდენტების გადინება-შემოდინების მიზეზების დადგენა, გამოკითხვის შედეგების ანალიზით იდენტიფიცირებული საყურადღებო მიზეზები ეგზავნება რეაგირებისათვის ფაკულტეტს. ფაკულტეტის მიერ მომზადებული რეაგირების ანგარიში წარედგინება

ფაკულტეტის საბჭოს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის განვითარებაზე მომუშავე მუდმივმოქმედ ჯგუფს და/ან ავტორიზაციის სტანდარტებზე მომუშავე ჯგუფს. ანალიზის შედეგები საშუალებას იძლევა გამოვლინდეს ცალკეული პროგრამის ან/და ინსტიტუციის ძლიერი და სუსტი მხარეები.

ინტერნაციონალიზაციის პროცესთან დაკავშირებული პროცესებისა და შედეგების შეფასება ხორციელდება როგორც ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკითა და მექანიზმებით განსაზღვრული ინდიკატორების მეშვეობით, ასევე სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზის მეშვეობითა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ანგარიშის საფუძველზე.

5. მართვის ეფექტიანობის შეფასება

სასწავლებელში მართვის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმებია:

- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი;
- სტუდენტთა და პერსონალის უკუკავშირი (გამოკითხვის, ინტერვიუს ან/და ფოკუს-ჯგუფის ფორმით) სასწავლებელში მართვის ეფექტიანობასთან, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების, პროცესების გამართულობის, სერვისებით კმაყოფილების და სხვა, შესაბამისი საკითხების შესახებ;
- ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასება და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წლიური ანგარიშები.

შეფასების მექანიზმები, პროცედურა და გამოყენების გზები განსაზღვრულია სასწავლებლის "მართვის ეფექტიანობის შეფასების სისტემა და მონიტორინგის მექანიზმები"-ით.

6. რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებისა და შედეგების შესაბამისი შეფასების განხორციელების საფუძველზე, საჭიროებისამებრ, გასცემს რეკომენდაციებს, განსაზღვრავს შესრულების სავარაუდო ვადას, ამასთან, პასუხისმგებელ პირ(ებ)ს/სტრუქტურულ ერთეულ(ებ)ს.

შესაბამისი პირ(ებ)ისამსახურ(ებ)ი, განიხილავს/განიხილავენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარდგენილ რეკომენდაცი(ებ)ს. თუ შესაბამისი პასუხისმგებელი პირ(ებ)ი ერთეულ(ებ)ი მიიჩნევს/მიიჩნევენ, რომ რეკომენდაცი(ებ)ის შესრულება არ არის შესაძლებელი განსაზღვრულ ვადაში, ან არ ეთანხმება/ეთანხმებიან რეკომენდაციების შინაარსს, წარუდგენს(ენ) დასაბუთებულ, არგუმენტირებულ პოზიციას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. დასაბუთების არგუმენტირებულად მიჩნევის შემთხვევაში შესაძლოა რეკომენდაცი(ებ)ის გაუქმება ან მოდიფიცირება.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს - რეკომენდაცი(ებ)ის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი წარუდგენენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მოხსენებით ანგარიშს, სადაც აღწერენ რეკომენდაციის შესრულების ხარისხს. ანგარიშის წარდგენა ხდება რეკომენდაციის შესრულებისთვის განსაზღვრული ვადის შესაბამისად.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფლებამოსილია, რეკომენდაციების შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს მოსთხოვოს შუალედური ანგარიში.

რეკომენდაციების შესრულების ხარისხის პერიოდული კონტროლისა და შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეკომენდაციების შესრულების შესახებ ყოველ აკადემიურ წელს ამზადებს ინფორმაციას ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელების/გამოყენების ანგარიშთან ერთად. ანგარიში შეიძლება მოიცავდეს დამატებით რეკომენდაციებს (ვადა, პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული).

7. დანართების ჩამონათვალი

1. **უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და დამტკიცების პროცედურა** – დანართი 1;
2. **საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა** – დანართი 2;
3. **სასწავლო კურსის სილაბუსის შეფასების ფორმა** – დანართი 3;
4. **კითხვარი - სტუდენტების კმაყოფილების კვლევა საგანმანათლებლო პროგრამებითა და უსდ-ს სერვისებით** - დანართი 4;
5. **კითხვარი - სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების და აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასება** - დანართი 5;
6. **ლექცია/ჯგუფში მუშაობაზე დასწრების ფორმა** დანართი 6;
7. **კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ფორმა** - დანართი 7;
8. **დამსაქმებლების გამოკითხვის ფორმა -** დანართი 8;
9. **საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასება -** დანართი 9;
10. **აკადემიურ/მოწვეული პერსონალის თვითშეფასების ფორმა** – დანართი 10;
11. **კითხვარი - პერსონალის კმაყოფილების კვლევა უსდ-ს სერვისებით** – დანართი 11;
12. **მობილობით გადასული სტუდენტების გამოკითხვის ფორმა** – დანართი 12;
13. **მობილობით გადმოსული სტუდენტების გამოკითხვის ფორმა -** დანართი 13.

ცხრილი 1 - სისტემური გამოკითხვებისა და შეფასებების დროის ჩარჩო

	თვე												განმახორციელებელი / პასუხისმგებელი
	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
სტუდენტთა მიერ სასწავლო კურსების და აკადემიური-მოწვეული პერსონალის შეფასება													ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
სტუდენტების კმაყოფილების კვლევა საგანმანათლებლო პროგრამებითა და უსდ-ს სერვისებით													ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
პერსონალის კმაყოფილების კვლევა უსდ-ს სერვისებით													HR ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
კურსდამთავრებულთა გამოკითხვა													ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

													სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სამსახური
დამსაქმებლების მოთხოვნათა და შრომის ბაზრის კვლევა[1]													ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; პროგრამის ხელმძღვანელი
პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება													ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიური თვითშეფასება													პროგრამის ხელმძღვანელი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
ლექცია/ჯგუფში მუშაობაზე დასწრება													სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი													სასწავლო პროცესის მართვის სამსახური; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
სტუდენტთა პროგრესის ანალიზი													პროგრამის განვითარების ჯგუფი; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

[1] დამსაქმებლების მოთხოვნათა და შრომის ბაზრის კვლევა ტარდება ყოველწლიურად, სულ მცირე ერთ პროგრამულ მიმართულებაზე. სასწავლებლის საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლოა მოდიფიცირდეს პერიოდულობა (კვლევამ უნდა მოიცვას ყველა პროგრამული მიმართულება არანაკლებ ორ წელიწადში ერთხელ).

აკადემიური/მოწვეული პერსონალის თვითშეფასება													HR; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის შეფასება													HR
კვლევითი საქმიანობის შეფასება													სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი; HR
სტუდენტთა მობილობის (გადინება-შემოდინება) კვლევა													ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური